პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით
სამშაბათი, 18 მარტი 1924 წ.
წელიწადი მეოთხე
ფასი 5 კაპ. ჩერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი არმიელი

454

№ ~~453~~ ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი
რედაქც. მის. ტფ., რუსთ. პროს. ქართ. დივ. შტაბი ქალ. ელ. №|1 – 40
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე.

პარიზის კომუნის დღეს ნუ დავივიწყებთ დაპატიმრებულ მებრძოლებს მუშათა კლასის საქმისათვის!

მუშებს და მუშა-ქალებს! 18 მარტს აღიმაღლეთ თქვენი საპროტესტო ხმა თეთრი ტერორის, ფაშისტურ სიმხეცის ბურჟუაზიულ ჯალათების წინაალმდეგ!

კაპიტალისტური რეაქციის მსხვერპლთა დახმარებით შენ დააჩქარებ ამ რეაქციის დამხობას!

პარიზის კომუნის დღე—საერთაშორისო რევოლიუციის მებრძოლთა დახმარების დღეა.

1871 წელს 18 მარტს პარიზის ქუჩებმა გაიღვიძა ამხედრებული პროლეტარიატის მქუხარე ხმით: „გაუმარჯოს რესპუბლიკას“.

ამ დღეს მშრომელმა პარიზმა აღმართა აჯანყების დროშა და გამოაცხადა თავისი დიქტატურა საფრანგეთის დედა ქალაქში.

კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე ეს იყო პირველი ცდა მუშათა კლასის მიერ სახელმწიფოებრივი ძალაუფლების ხელში აღების და სოციალიზმის იდეების ცხოვრებაში გატარებისა.

მაგრამ დიდი ხნის სიცოცხლე არ დასცალდა კომუნას.

მხოლოდ სამოცდა თორმეტი დღე იარსება მან.

ბურჟუაზიამ და მთელმა შავმა რეაქციამ სავსებით იგრძნო, თუ რა დიდ საფრთხეს წარმოადგენდა მათთვის კომუნა.

კომუნის საბოლოო გამარჯვება ნიშნავდა-ბურჟუაზიის საბოლოო დამარცხებას. ამიტომ მთელი ბურჟუაზიული რეაქცია ცნობილი ჯალათის ტიერის მეთაურობით შეეცადა კომუნის დამარცხებას და კიდევაც მიაღწია ამ მიზანს.

პარიზის კომუნის ხელმძღვანელები ვერ გამოდგენ საკმაოდ გამოცდილნი, თანაც ისტორიული ობიექტიური პირობები ხელს არ უწყობდათ მათ თავისი საქმის საბოლოო გამარჯვებისათვის.

ბურჟუაზიამ ისარგებლა პარიზის კომუნარების შეცდომებით და დაამარცხა ის.

ძვირად დაუჯდა პარიზის მშრომელ ხალხს თავისი ხან მოკლე დიქტატურა.

ორმოცდა ათი ათასზე მეტი მსხვერპლი გაიღო მან ამ საქმისათვის.

გამხეცებულმა ბურჟუაზიამ უმაგალითო სისასტიკით იძია შური კომუნარებზე. პარიზის ქუჩები წარმოადგენდა დახოცილ კომუნართა სისხლის რუებს.

მაგრამ პარიზის კომუნარებმა არაჩვეულებრივი სიმამაცით შეხვდენ სიკვდილს. სიკვდილის ჟამს ისინი აღტაცებით ყვიროდენ „გაუმარჯოს კომუნას!“

მათ სწამდათ, რომ დროებით დამარცხებული მათი საქმე ოდესმე მაინც გაიმარჯვებს.

ეს მომენტიც დადგა.

დღეს მსოფლიო კაპიტალისა და თავაშვებული შავი რეაქციის წინააღმდეგ ფაშიზმის სახით, ამხედრებულია კომინტერნის მეთაურობით საერთაშორისო მუშათა კლასი.

ჯერ-ჯერობით სოციალისტური რევოლიუციის მონაპოვარს შეადგენს საბჭოთა კავშირი.

დანარჩენ ქვეყნებში ბრძოლა კაპიტალის წინააღმდეგ ვითარდება და დღითი დღე მწვავე ხასიათს ღებულობს. მსოფლიო რევოლიუციის წითელი ღრუბლები თავს დასტრიალებენ ძირმომპალ ბურჟუაზიულ სამყაროს.

ახლოვდება ჟამი სასტიკი შურის ძიებისა პარიზელ კომუნარების უმანკო სისხლის დამღვრელთათვის.

ისტორიის მიერ განწირული ბურჟუაზია უკანასკნელ ძალებს იკრებს თავის მტრის-მუშათა კლასის შესამუსრავად. როგორც არასოდეს მან აამუშავა მთელი თავისი სახელმწიფოებრივი ძალადობის აპარატი.

ათასობით და ათი ათასობით სდევნის, აწამებს და ამწყვდევს ის თავისი ციხეებში და ნესტიან სარდაფებში მებრძოლ პროლეტარიატის საუკეთესო შვილებს. საერთაშორისო რეაქციას ამით სურს დაამარცხოს მსოფლიო სოციალისტური რევოლიუცია.

ამაოა მისი ცდები.

დღითი დღე იმპერიალისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმული რევოლიუციონური პროლეტარიატის ლაშქარი არაჩვეულებრივი სისწრაფით იზრდება.

ამიტომ დღევანდელი დღის ლოზუნგია: ვისთვისაც ძვირფასია დახოცილ პარიზელ კომუნარების ხსოვნა, დაეხმარეთ საერთაშორისო რევოლიუციის მებრძოლ რევოლიუციონერებს!

დეე! ბურჟუაზიულ ციხეებში გაწამებულმა რევოლიუციონერებმა იგრძნონ, რომ ისინი მარტო არ არიან ბედის ანაბარა დატოვებულნი, როგორც პარიზის კომუნარები, რომ მათთან ერთად სულით, გულით და საქმითაც არიან ყველა ისინი, ვინც სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს კაპიტალიზმს და ჩადგენ მსოფლიო რევოლიუციის მებრძოლ ლეგიონების რიგებში.

გაუმარჯოს სამკვდრო სასიცოცხლო ომს მსოფლიო ბურჟუაზიის და ფაშიზმის წინააღმდეგ კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებამდე!

პარიზის კომუნა.

„თქვენ გინდათ იცოდეთ რა არის პროლეტარიატის დიქტატურა? შეხედეთ პარიზის კომუნას,! ის იყო პროლეტარიატის დიქტატურა.“ ეუბნებოდა კარლ მარქსი ბურჟუაზიას·

პარიზის მუშების 1871 წლის 18 მარტის აჯანყება იყო პირველი, ჯერ კიდევ სუსტი ისტორიული ცდა მუშათა კლასის ბატონობისა. ჩვენ დიდათ ვაფასებთ პარიზის კომუნას მიუხედევათ იმისა, რომ მას ბევრი ნაკლი ჰქონდა. მაგრამ ჩვენ ვაფასებთ მასში „პირველს, თუმცა ძალიან მკრთალ სხივს პროლეტარიატის რესპუბლიკისას“. პარიზის პროლეტარიატის დიქტატურამ გასტანა სულ სამოცდათორმეტი დღე. ვერსალში გახიზნულ ბურჟუაზიამ ჯალათ ტიერის მეთაურობით შესძლო პარიზის კომუნის სისხლში ჩახრჩობა. ათი ათასობით მსხვერპლი გაიღო პარიზის მუშათა კლასმა, სისხლის მდინარეები დგდენ პარიზის ქუჩებში. უსაშინელესი იყო ბურჟუაზიის შურისძიება აჯანყებულ პროლეტარიატზე.

რა იყო პარიზის კომუნის დამარცხების მიზეზები? პირველი და უმთავრესი მიზეზი პარიზის პროლეტარიატის დამარცხებისა იყო საკუთარ კლასიურ ერთ ორგანიზაციაში შემაკავშირებელი პარტიის უქონლობა. პარიზის კომუნაში მრავალი სხვა და სხვა მიმართულებანი იყო. მათ არ გააჩნდათ ერთი ძლიერი ნებისყოფის და მტკიცე დისციპლინის მქონე პარტია. ამისათვის დაბნევა და გაუბედაობა ახასიათებდა პარიზის კომუნას. ჰენგელსის თქმით, პარიზის კომუნის დანაშაული იმაში იყო, რომ ის არ გადავიდა შეტევაზე ვერსალის ე. ი. იქ თავმოყრილ ბურჟუაზიულ მთავრობის წინააღმდეგ, ის ლმობიერათ მოეპყრო თავის კლასიურ მტრებს. პარიზის კომუნა მოკლებული იყო ხელმძღვანელ პროლეტარულ პარტიას და ამის გამო მისი დამარცხებაც აუცილებელი იყო.

პარიზის პროლეტარიატის ხმა ვერ მისწვდა დანარჩენ ქვეყნების მუშათა კლასს. პარიზის მუშების აჯანყებას არ გამოეხმაურა და არ დაუჭირა მხარი ევროპის მუშათა კლასმა. ამგვარად პარიზის პროლეტარიატი დარჩა საკუთარ თავის ამარა. და ცხადი იყო, რომ ის მარტო ვერ გაუმკლავდებოდა საფრანგეთ-გერმანიის ჯარებს. არამც თუ სხვა ქვეყნების მუშათა კლასთან, არამედ თვით საფრანგეთის მშრომლებთანაც კი ვერ შესძლო პარიზის კომუნამ კავშირის გაბმა. პროლეტარული რევოლიუცია მარტო პარიზის კედლებში მოემწყვდა. მისი ხმა არ გადასწვდა პარიზს ეს იყო. მეორე მიზეზი პარიზის პროლეტარიატის დამარცხების.

მესამე და უკანასკნელი მიზეზი პარიზის კომუნის დამარცხების იყო მაშინ არსებული ობიექტიური პირობები. ეს ხანა ბურჟუაზიის გაძლიერების, კაპიტალისტურ წესწყობილების აყვავების ხანა იყო. ბურჟუაზიას მაშინ კიდევ არ ჰქონდა შესრულებული თავისი მისია, ის არ იყო მაშინ სასიკვდილოთ განწირული, მსოფლიო პროლეტარიატი სუსტი იყო, მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციისათვის პირობები მზათ არ იყო.

მაგრამ ნახევარ საუკუნესაც არ გაუვლია პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ, რომ რუსეთის ძლევამოსილმა პროლეტარიატმა ააფრიალა აჯანყების დროშა და დიად წინაპრების დიად იდეას ხორცი შეასხა. ოქტომბრის რევოლიუციამ შესძრა მთელი ქვეყნიერება, მან სამკვდრო სასიცოცხლო ომი გამოუცხადა ძველ სამყაროს. პროლეტარიატის დიქტატურის დროშა დღეს მსოფლიოს ერთ მეექვსედზე ფრიალებს. რუსეთის პროლეტარიატმა შეიგნო პარიზის კომუნის სუსტი და ძლიერი მხარეები. რუსეთის პროლეტარიატი შეკავშირდა ფოლადისებურ მტკიცე კომუნისტურ პარტიაში და ამ პარტიის მეთაურობით მან მიაღწია უდიდეს გამარჯვებებს.

ზრახვანი, რომელიც ჰქონდა ტიერს პარიზის მიმართ, მილიუკოვს, რომელსაც მხარს უჭერდა კერენსკი, ჩერნოვი და წერეთელი, ჰქონდა ლენინგრადის (პეტროგრადი) მიმართ. მილიუკოვს სურდა პროლეტარიატის განიარაღება ისე, როგორც ტიერს. მაგრამ, ტიერმა შესძლო თავისი საზიზღარ ზრახვების სისრულეში მოყვანა. მილიუკოვი, კერენსკი, წერეთელი და სხ. კი დამარცხდენ. ლენინგრადი შეიქმნა პროლეტარიატის დიქტატურის მიუვალი სიმაგრე.

ის რაც განიზრახა და ვერ შესძლო პარიზის კომუნამ, მას ხორცი შეასხა რუსეთის მუშათა კლასმა. პარიზის კომუნა დამარცხდა, რუსეთის ოქტომბრის რევოლიუცია კი უძლეველი გამოდგა. მაგრამ არის კიდევ ერთი განსხვავება პარიზის კომუნასა და ოქტომბრის რევოლიუციის შორის: კომუნის განადგურებამ გამოიწვია პირველი ინტერნაციონალის ფაქტიური დაშლა. საბჭოთა ძალაუფლების გამარჯვებამ გამოიწვია კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნა.

დღეს, კომუნის დამყარების 53 წლის თავზე საბჭოთა რესპუბლიკების მშრომლები დახმარების ხელს უწვდიან ბურჟუაზიულ ციხეებში მყოფ რევოლიუციონერებს და მათთან ერთად, კომუნისტურ ინტენაციონალის მეთაურობით ამჭიდროებენ რიგებს მომავალ გადამწყვეტ ბრძოლისათვის.

ზეფირი.

რადიო-დეპეშები

— ამხ. ტროცკის ჯანმრთელობა თან და თან უმჯობესდება. ფიქრობენ, რომ ორ სამ კვირაში ის დაუბრუნდება თავის მუშაობას.

— ჩინეთმა და შვეციამ იცნეს საბჭოთა კავშირი იურიდიულად,

— ოქროს ფულის ყიდვა გაყიდვა თავისუფალ ბაზარზე აკრძალული აქვს ყველას, გარდა სახელმწიფო ბანკისა, ამ გადაწყვეტილების დამრღვევნი დაისჯებიან სისხლის სამართლის კოდექსის ძალით.

საბჭოთა კავშირის ცნობის გარშემო

ჩინეთმა იცნო საბჭოთა კავშირი იურიდიულად.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მიიღო ცნობა ჩინეთის მთავრობასთან შეთანხმებაზე—საბჭოთა კავშირთა და ჩინეთს შორის დიპლომატიურ ურთიერთობის სრული აღდგენის შესახებ.

ჩინეთის მთავრობისა და კარახანის მიერ მოწერილ იქნა წინასწარი შეთანხმება. საბოლოო შეთანხმება მოწერილ იქნება რამოდენიმე დღეში.

საბჭოთა კავშირის ცნობა შვეციის მიერ.

შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრმა შვეციის პრემიერის—კრიუგგერის თანდასწრებით ჩააბარა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს—ოსინსკის ნოტა სსრკ-ს იურიდიულად ცნობის შესახებ. სავაჭრო ხელშეკრულება მოწერილ იქნა ოსინსკისა და ლეგრანის მიერ.

საბჭოთა კავშირი

სრულიად კავშირთა სამხედრო თათბირი.

ამხ. ფრუნზეს მოხსენება.

სრულიად კავშირთა სამხედრო თათბირზე საბჭოთა კავშირის რევსამხსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ამხ. ფრუნზემ მოხსენებაში განაცხადა:

სამხედრო საქმე ყურადღების ცენტრია.

„საშიში იქნებოდა გვეფიქრა, რომ საბჭოთა კავშირის ცნობის ეპიდემიისთან დაკავშირებით, ომის საფრთხე საბჭოთა კავშირის მიმართ გაჰქრა. პირიქით, ყველგან უცხოეთში შემჩნეულია შემცირების ნაცვლად, გაცხარებული მზადება ახალი ომებისათვის, რომელშიაც ყოველი ქვეყანა სცდილობს ერთი მეორეს. შეიძლება დარწმუნებით ვსთქვათ, რომ ახლო მომავალში მოხდება ახალი შეიარაღებული შეტაკებები, რომლისგანაც სსრკ—ს არ შეეძლება განზე დადგეს, ვინაიდან ომები მიიღებს არა მხოლოდ ნაციონალურ ხასიათს, არამედ კლასიურსაც. ამისათვის სამხედრო საქმე უნდა იმყოფებოდეს მუშურ გლეხური სახელმწიფოს ყურადღების ცენტრში.

მილიციურ ნაწილების შედგენა.

მილიციურ ნაწილების შედგენის საკითხის შესახებ ამხ. ფრუნზემ განაცხადა, რომ არა მარტო მუშათა კლასი, არამედ გლეხობის მომეტებული ნაწილი პოლიტიკურის მხრივ, წარმოადგენს კარგ მასალას მილიციურ ნაწილების შესადგენად. მაგრამ გლეხური ხასიათი ჩვენი ქვეყნისა არ იძლევა საშუალებას ერთბაშად გადავიდეთ მილიციურ სისტემაზე; ამიტომ მოგვიხდება სამხედრო აღმშენებლობაში „შევაუღლოთ „კადრის“ ნაწილები ტერიტორიალურ ნაწილებთან.

ამხ. ფრუნზემ სთქვა: „ტერიტორიალური ნაწილები უნდა შეიქნან ერთ უმთავრეს ჯაჭვათ, რომელიც განამტკიცებს კავშირს საბჭოთა მთავრობას და გლეხობას შორის,—მუშათა კლასსა და გლეხობას შორის“.

რესპუბლიკის რევსამხსაბჭოს განსაკუთრებული კომისია.

ამხ. ფრუნზემ განაცხადა, რომ რევსამხსაბჭოსთან მუშაობს სპეციალური კომისია, რომელიც იმუშავებს უფროსთა შემადგენლობის სამსახურის ვადას. მიღებულია ზომები უმცროს და საშუალო უფშემადგენლობის გასაუმჯობესებლად.

ტერიტორიალურ სისტემაზე ნაწილობრივად გადასვლასთან დაკავშირებით, აპარატებში ცენტრსა და ადგილებზე, მოხდება რეორგანიზაცია და საკმაოდ შემცირდება.

ორი-სამი კვირის შემდეგ ამხ. ტროცკი დაუბრუნდება მუშაობას.

ამხ. ტროცკის ჯანმრთელობის შესახებ, ამხ. ფრუნზემ განაცხადა: ,,შემიძლია განვაცხადო, რომ ამხ. ტროცკის ჯანმრთელობის საქმე არ არის საშიში. მოსალოდნელია, რომ ამხ. ტროცკი ორი სამი კვირის შემდეგ დაუბრუნდება მუშაობას.“

საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ოსმალეთში.

საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სავაჭრო წარმომადგენლად ოსმალეთში დანიშნულ იქნა ამხ. ანიკეევი.

სპარსეთი და საბჭოთა კავშირი.

მოსკოვში მოდის სპარსეთის საგანგებო ელჩი მოხამერულ მამალეკი. მასთან ერთად მოსკოვში მოდის თეირანიდან საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი შუმიაცკი.

მონოპოლიის უფლება ოქროზე.

სახფინკომის განმარტებით, თავისუფალი ტრიალი ოქროს ფულის შეადგენს სახბანკის მონოპოლიურ უფლებას, მისი ყიდვა გაყიდვის საქმეში.

ოქროს ფულის ყიდვა თავისუფალ ბაზარზე და მისი მიყიდვა ვისმეზე, გარდა სახელმწიფო ბანკისა, ითვლება კანონის დასარღვევად და ისჯება სისხლის სამართლის კოდექსის ძალით.

ამხ. კალინინის დაბრუნება მოსკოვში.

ამხ. კალინინმა ინახულა ბელორუსიის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი, პროფინტერნის კლუბი, დასასვენებელი სახლი და ყაზარმები. 15 მარტს ამხ. კალინინი გამოემგზავრა მინსკიდან. მუშებმა და წითელ არმიელებმა ის დიდი ზეიმით გააცილეს სადგურში.

წითელი არმიის მატერიალური მდგომარეობა.

საჭიროა მივაქციოთ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის და გლეხობის მთელი ყურადღება ამ საკითხისაკენ. რამდენად ძლიერი იქნება წითელი არმია, იმდენად დიდი იქნებან ჩვენი დიპლომატიური და პოლიტიკური წარმატებები. ამხ. ფრუნზემ სთქვა: „უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი შეიარაღებული ძალა ჯერ კიდევ ვერ არის სავსებით მომზადებული მოსალოდნელ სამხედრო ამოცანების გადასაჭრელად. ყოველგვარ ხარჯების შემცირებასთან დაკავშირებით, რომელიც გამოწვეულია ფულის რეფორმით, მატერიალური პერსპექტივები წითელი არმიის ახლო მომავალში მეტად მძიმე. მაგრამ, რევსამხსაბჭოს ზომების საშვალებით ჩვენ შევძლებთ მიმდინარე წელში შევქმნათ უფრო კეთილსასურველი მატერიალური პირობები ჩვენი არმიისათვის, ვინემ გასულ წელში.

ბესსარაბიის საკითხი.

მადლობა ძარცვის რატიფიკაციისათვის.

რუმინეთის ფინანსთა მინისტრმა ბრატიანუმ წარმოსთქვა პარლამენტში სიტყვა, რომელშიაც რუმინეთის მთავრობის სახელით მადლობა გამოუცხადა პუანკარეს და საფრანგეთის პალატას ბესსარაბიის რუმინეთთან შეერთების რატიფიკაციისათვის.

საპროტესტო ნოტა.

საგარეო საქმეთა კომისარი ამხ. ჩიჩერინი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის—პუანკარესადმი მიმართულ ნოტაში გამოსთქვამს პროტესტს პალატის რატიფიკაციის წინაალმდეგ, ბესსარაბიის შეერთების შესახებ რუმინეთთან, მიუხედავად საფრანგეთის ოფიციალურ განცხადებისა ბესსარაბიის ოკუპაციის დროს რუმინეთის ჯარების მიერ, რომ ოკუპაცია იქნება დროებითი.

ბესსარაბიელებს არ აქვთ წარმატების იმედი.

ბესსარაბიის საზოგადოებრივი წრეები მეგობრულად არიან განწყობილი საბჭოთა კავშირის მიმართ. გაზეთებში და საზოგადოებრივ დაწესებულებებში არჩევენ საკითხს საბჭოთა კავშირის მიერ მოთხოვნილი პლებისციტის შესახებ.

სხვა და სხვა

საფრანგეთი.

საქმე იუმანიტეს წინაალმდეგ.

დაიწყო საქმე „იუმანიტეს“ წინაალმდეგ, რომელიც წამოუყენა „მატენმა“.

„მატენის“ ყოფილ ფინანსთა აგენტმა—ლაფონმა განაცხადა, რომ „იუმანიტეში გამოქვეყნებული რაფალოვიჩის წერილი—მტკნარი სიცრუეა; მაგრამ მან თავისად გამოაცხადა ის წერილები, რომლებიც გამოქვეყნებული იყო გაზეთში.

ყოფილ ფინანსთა მინისტრმა კოკოვცევმა, რომელიც გამოვიდა მოწმედ, დაამტკიცა, რომ წერილები ეკუთვნის რაფალოვიჩს. საერთოდ პირველი სხდომა ჩატარდა „მატენის“ საზარალოდ. სასამართლოს მეორე სხდომა დანიშნულია აპრილის პირველ რიცხვებში.

„საეჭვო ნდობა“.

სენატში პუანკარე დაჟინებით მოითხოვდა კანონ პროექტის მიღებას მთავრობის უფლებების გაფართოების შესახებ და დააყენა საკითხი ნდობის შესახებ. სენატმა დაამტკიცა მთავრობის კანონ პროექტი 15 ხმის უმეტესობით რომლის ნაწილი ეკუთვნის მინისტრებს.

ტრენი და კაშენი კვლავ ციხეში.

საფრანგეთის კომუნისტებს ,ტრენს და კაშენს მიუსაჯეს 4 თვის ციხე და 1.000 ფრანკი ჯარიმა, ,,იუმანიტეში“ წერილის გამოქვეყნებისათვის, რომელშიაც იმედს გამოსთქვამდნენ, რომ საფრანგეთის არმიაში გამოჩნდებიან ,,ათასი მარტი“, რომლებიც უარს იტყვიან გერმანიის რევოლიუციის წინაალმდეგ გამოსვლაზე.

ახალი არჩევნები პარლამენტში,

სენატში გრძელდება დებატები მთავრობის საფინანსო ზომების შესახებ. კამათის დროს პუანკარემ განაცხადა, რომ პარლამენტის არჩევნები მოხდება მაისის ბოლოს.

შვეიცარია.

ხალიფს სთხოვენ დამშვიდებას.

ბერნიდან მიღებულ ცნობით ფედერალურმა საბჭომ გააგზავნა ტერრიტში ერთი უმაღლეს მოხელეთაგანი, რომელსაც მიენდო აცნობოს ყოფილ ხალიფს ფედერალური საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის გამო ხალიფს წინადადება ეძლევა თავი შეიკავოს ყოველგვარ პოლიტიკურ პროპაგანდისაგან, [illegible] წინაალმდეგ შემთხვევაში ფედერალური საბჭო იძულებული იქნება შესცვალოს ხალიფზე მიცემული ნებართვა შვეიცარიაში ყოფნის შესახებ.

საბერძნეთი.

რესპუბლიკისათვის.

ათინიდან მიღებულ ცნობით, კაფანდარისი, პაპანასტასიუ და ვენიზელისტები შეთანხმდნენ კაროლის ჩამოგდებას და დინასტიის გაუქმებაზე და რესპუბლიკის გამოცხადებაზე. პარტიის ლიდერები გაემგზავრებიან ბუქარესტში კაროლ გეორგისთან, რათა აიძულონ ტახტზე უარის თქმაზე.

საქ. კათალიკოსის ამბროსის და სხვა მის თანამშრომელ ხუცების გასამართლება.

15 მარტის სხდომა.

დღევანდელ სხდომაზე იხილავენ საბუთებს და ჩვენებებს. მცირედი შესვენების შემდეგ დარბაზში შემოდის მუშების დელეგაცია, რომელთა შორისაც არის ამხ. თოფაძე, თოდრია, ფარნიევი და სხვები.

ქუჩაში.

ქუჩაში თავი მოუყრია თფილისის მუშებს, რომელთა რიცხვიც აღწევს 6.500 კაცს. არის ცეცხლის მქრობელი რაზმიც, მეეზოვეთა სექცია და სხვა.

სიტყვებს ამბობენ დელეგაციის წევრები, თავისი პროფესიის წევრთა სახელით.

ამხ. თოფაძის სიტყვა.

ამხანაგო მოსამართლენო! ჩვენ მოვედით აქ მრავალ ათასიან მუშათა მასის დავალებით, რომ მოვითხოვოთ ამ სულიერ მამების სასტიკი სასჯელი. განა მათ ქრისტემ ის დაავალათ, რომ ბრილიანტები, ოქროები დამალეთ და მიითვისეთო?—არა, რა თქმა უნდა. მაგათ უღალატეს და შეურაცყვეს თვით ქრისტეს სარწმუნოება. მაგათ მოინდომეს ქართველი მშრომელი ხალხის სისხლში ჩაღრჩობა. ამას ვერ ვაპატიებთ, ვერავითარ შემთხვევაში და მოვითხოვთ სულიერ მამათათვის უსასტიკეს სასჯელს. (ყვირილი დარბაზში: ძირს სამღვდელოება!) როდესაც ჩვენ გვასწავლიდენ, რომ სამღვდელოება გამყიდველია, ჩვენ გვეგონა, რომ ეს მასწავლებლები მაინც იქნებოდენ ამ სამღვდელოების წინაალმდეგნი, მაგრამ დღეს სულ სხვა სურათს ვხედავთ. სადაა ნამუსი, ის ქართველური ნამუსი, რომელზედაც უყვართ ლაპარაკი ნინიძეს და კომპანიას. ჩვენ ველით უსასტიკეს სასჯელს ამ სულიერ მატყუარათათვის.

დაახლოებით ასეთივე შინაარსის სიტყვა წარმოსთქვა ამხ. დევდარიანმა და ტრანსპორტის მუშათა სახელით ამხ. თოდრიამ. ორატორები თავიანთ სიტყვებში მოითხოვდნენ აგრეთვე დამცველ „სოციალისტების“ საბრალმდებლო სკამზე დასხმას.

ამხ. ფარნიევის სიტყვა.

დელეგაციაში არის აგრეთვე ყოფილი მენშევიკი ამხ. ფარნიევი. იგი ამბობს: ამხანაგებო, მე ამჟამათ სასამართლოს არ ველაპარაკები, მე მინდა ორიოდე სიტყვა უთხრა მხოლოთ იმ ხალხს, რომელიც აქ ზის. ვინ არ იცის, რომ რევოლიუციას თავის კანონები აქ და ამ კანონების 1-ლი მუხლი არის, სასტიკი სასჯელი რევოლიუციის მტრებს.

ჩვენ ის კი არ გვიკვირს, რომ საბრალმდებლო სკამზე ზის ამბროსი და მისი დამქაშები. ჩვენ გვიკვირს, რომ ამ ხუცებს იცავს კირილე ნინიძე, მარქსისტად და სოციალისტად რომ მოაქვს თავი, სხვებისაგან არაფერია გასაკვირალი. აგერ ბარათაშვილი და დადიანი, ისინიც იცავენ. მაგრამ მათზე მე არაფერს ვამბობ. ვის იცავს ნინიძე?—ის იცავს იმ კლასს, რომელსაც ებრძოდა მთელი თავისი სიცოცხლე. ესაა გასაკვირალი და ათასჯერ გასაკვირალი. ამიტომ მე მოვითხოვ კ. ნინიძისაგან მუშების სახელით, რომ გამოვიდეს იგი სასამართლოსთან ერთად ქუჩაში და უთხრას ხალხს თუ რაშია საქმე.

დელეგაციას პასუხს აძლევს სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. გ. ჩხეიძე და ჰპირდება რომ სასამართლო უთუოთ სასტიკათ მოეპყრობა ყველა დამნაშავეს.

დელეგაცია კიდევ ერთხელ მოუწოდებს სასამართლოს რომ გამოვიდნენ ქუჩაში და დააწყნარონ ეს მოზღვავებული მუშები, რაზედაც ისინი ღებულობენ დადებით პასუხს.

16 მარტის დილის სხდომა.

დღეს იწყება პროცესის ყველაზედ უფრო საინტერესო პერიოდი. სხდომა იხსნება მხარეთა კამათით. წესისამებრ პირველი სიტყვა პროკურატურას ეკუთვნის.

პროკ. მაჭავარიანის სიტყვა.

პატივცემულო მოსამართლენო! ის დიდი ინტერესი, რომელიც მიქცეულია ამ პროცესისადმი საფუძვლიანია. ეს აიხსნება იმით, რომ ამ პროცესს აქვს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. მტკიცებას არც კი საჭიროებს ის გარემოება, რომ იმ ქმედობასაც, რაიც გათვალისწინებულია საბრალმდებლო ოქმში, უთუოთ პოლიტიკური ხასიათი და მნიშვნელობა აქვს. ამ პროცესს თვალყურს ადევნებს არა მარტო საქართველო, ან რუსეთი, არამედ მთელი ევროპა და მსოფლიო. ამ პროცესით თავისებურათ დაინტერესებულია მსოფლიო ბურჟუაზიაც და მსოფლიო პროლეტარიატიც. პროლეტარიატი მოელის სამართლიან განაჩენს, ხოლო ბურჟუაზიის სურვილი ისაა, რომ ეს საქმე მიფუჩეჩდეს და მიიჩქმალოს. აქ მხედველობაში მისაღებია უპირველესად ყოვლისა სახელმწიფოებრივი მომენტი.

შემდეგ ბრალმდებელი ეხება იმ დროინდელ პოლიტიკურ ვითარებას, როდესაც მემორანდუმი დაიწერა. ეხება ყველა ბრალდებებს, ბრალდებულებისადმი წარდგენილს და ყოველ ბრალდებას ანაწილებს მუხლობრივ. ჩერდება დაწვრილებით ყოველ მუხლზე.

დასასრულ პროკურორი აცხადებს საბრალმდებლო ნაწილის სახელით, რომ ისინი წინაალმდეგნი არ არიან მოხსნან ბრალდება მღვდ. ლაზარიშვილს სრულიათ და მირიანაშვილს კი 30 გირვანქის განძეულობის გადამალვის შესახებ და მცხეთის და სიონის განძეულობის თბილისიდან გატანის გამო წარდგენილი ბრალდება ყველა მათ ვისაც ეს ბრალდებოდა, რადგანაც მაშინ მენშევიკური ხელისუფლება იყო და ის მღვდლები მოვალენიც იყვნენ აესრულებიათ მთავრობის ბრძანება.

ამხ. ბრალმდებელ მაჭავარიანის სიტყვა გაგრძელდა საათზედ მეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი წითელი ჯარი

მე-2-ე ქართ. ლეგიონში ორი დღესასწაულის ჩატარება.

მზადება.

20 თებერვალი, წითელ-არმიელთა სიხარულს საზღვარი არ უჩანს. ყველა მოელის დიდებულ და დიდ შესანიშნავ დღესასწაულს, წითელი არმიის ექვსი წლისთავს და საქართველოს გასაბჭოების 3 წლისთავის მოახლოებას. გაორკეცებული ენერგიით სწარმოებს ყველა ასეულებში წითელ კუთხეების გადაახლება სამხკომის ამხ. ელიაშვილის მეთაურობით.

ყველანი გრძნობს რომ ამ დიდ დღესასწაულს მომზადებული უნდა შევხვდეთ.

აუწერელია ის ენტუზიაზმი და სულის კვეთება, რომელსაც იჩენს მეთაურთა და პოლიტ-შემადგენლობა. ყველა ასეულებში აგროვებენ თანხას, წითელ-კუთხის მოსაწყობად.

23-25 თებერვალი. უკვე მოწყობილა ლეგიონი სადღესასწაულოთ. გირლიანდებში და ცოცხალ ყვავილებში ბიბინებს სტუმრების მოლოდინში. დღის 12 საათიდან უკვე იწყეს დენა საპატივცემულო სტუმრებმა პურას უფროსმა, აჭარისტანის მთავრობამ, შეფმა, სამოქალაქო ორგანიზაციიდან მუშებმა წვევამდელ ახალგაზრდობამ და მოწაფე ახალგაზრდობა. კლუბში ეწყობა ფართე მიტინგი და მოხსენებები დღესასწაულის მნიშვნელობაზე. სიტყვას ამბობენ, როგორც ლეგიონიდან ისე სტუმრების მხრიდანაც, რაც წითელ არმიელში აღფრთოვანებას იწვევს.

ყაზარმების დათვალიერება მიტინგის და სიტყვების გათავების შემდეგ. სტუმრები ათვალიერებენ წითელ-ყაზარმებს.

1 ლი ასეული.

მთელი სტუმრების ყურადღებას იპყრობს საუცხოვოთ მორთული წითელი კუთხე (ეხლა უკვე გადაკეთებულია ლენინის კუთხეთ). სხვა და სხვა განყოფილებით, როგორიც არის პოლიტიკური, სანიტარული, რელიგიის საწინააღმდეგო და სამხედრო კუთხე. ყველა კუთხეს აქვს თავისი ლოზუნგები წარწერები და გირლიანდები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სამხედრო კუთხე სხვა და სხვა სისტემის იარაღებით, რომლებსაც მნახველები სიამოვნებით ათვალიერებენ. მეთაური ამხ. პ. თავაძე, წვევამდელებს აცნობს იარაღების სახელებს და დანიშნულებებს, რაც წვევამდელებში იწვევს სიამოვნებას და ინტერესს. სტუმრები და მნახველები ნასიამოვნები რჩებიან.

სამხკორი: აკ. გუ—აჩიძე.

პირველი ასეულის კომუჯრედი.

მეორე ლეგიონის პირველ ასეულში 24 თებერვალს შესდგა კომუჯრედის ღია კრება, კრებას დაესწრო ასეულის მთელი შემადგენლობა: თავმჯდომარეობდა ამხ. ულუმბერაშვილი მდივნობდა ამხ. სხვიტარიძე.

დღის წესრიგში იყო გასარჩევად შემდეგი კითხვები:

1) პარტიის მორიგი ამოცანები არმიაში.
2) გაზეთებიდან ყოველ კვირეული ცნობა.
3) პოლიტ-ხელის მოხსენება მის მუშაობაზე.
4) პრეზიდიუმის მუშაობის თვიური ანგარიში.
5) გადარჩევა პრეზიდიუმისა.
6) წითელი კუთხის გამგის მოხსენება.
7) მიმდინარე კითხვები:

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. მელია, რომელმაც გარკვეულად დაახასიათა ის და გააცნო კრებას ისიც, თუ რამ გამოიწვია მისი ცხოვრებაში გატარება. საკითხის ირგვლივ ილაპარაკა ამხ. გუბელაძემ, ამხ. გულორდავამ და ამხ. სხვიტარიძემ, ბოლოს იყო შეკითხვები რომელსაც მომხსენებელმა გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი. მეორე საკითხის გარშემო ლაპარაკობს ამხ. სიხარულიძე. მესამე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. სხვიტარიძე, რომელმაც გააცნო კრებას თუ როგორი მუშაობა იყო ასეულში პოლიტ-განმანათლებლობის მხრივ. კრებამ მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

მეოთხე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. სხვიტარიძე, რომელმაც ნათლად დაუხასიათა კრებას პრეზიდიუმის მუშაობა და აღნიშნა მუშაობის ნაკლიც.

მეხუთე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. სხვიტარიძე და მოუწოდებს კრებას რომ პრეზიდიუმში არჩიონ ისეთი პირები რომლებიც მართლაც შეეფერება ამ საქმეს, ერთხმად არჩეული იქმნა შემდეგი პირები: 1) სხვიტარიძე, 2) მელია, 3) სიხარულიძე.

მეექვსე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს, ამხ. ლორთქიფანიძე, რომელმაც აღნიშნა, თუ როგორი მუშაობა სწარმოებდა ლენინის კუთხეში, კრებამ მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად.

პარტკორი: ბერაძე.

ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლაში.

6 მარტს ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლაში შესდგა დასავლეთ ქვეყნების რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიის შესასწავლი წრის მეცადინეობა. წრეში მუშაობა სწარმოებს სისტემატიურად კვირაში ორჯერ. წრეში შედის 17 ამხ. პარტ. წევრები და კანდიდატებიდან, რომლებიც პოლიტიკურად უფრო განვითარებული არიან.

პირველ ლექციას კითხულობს პოლიტ-განვითარების მასწავლებელი ამხ. კ. გორდელაძე. პლატონის მოძღვრების შესახებ, რომელმაც ვრცლად შეეხო და დაახასიათა პლატონი და მისი მოძღვრება, როგორც უტოპიური.

ლექციის დამთავრების შემდეგ იქნა შეკითხვები, რაზედაც პასუხი გასცა ამხ. გორდელაძემ. შემდეგ გაიმართა კამათი თვით კურსანტებში და მათ ურთ ერთ აზრთა გაცვლა გამოცვლამ დიდი ნაყოფი მოუტანა კურსანტებს. უნდა აღინიშნოს რომ კურსანტები დიდი ყურადღებით შეუდგენ ამ საკითხის ღრმათ გამუქებას, და მის შესწავლას. წრის წევრების სახელით მადლობას უცხადებ ამხ. გორდელაძეს მისი ენერგიულ პოლიტ-მოღვაწეობისთვის. წრის წევრები ღრმად არიან დარწმუნებული, რომ ის მომავალში გააასკეცებს თავის ენერგიულ მუშაობას, მეცნიერულ საკითხებით დაინტერესებულ წრის წევრებ კურსანტებში.

კურსანტი: ვლ. გრიგოლია.

მესამე ლეგიონ. ლიტერატურული წრე.

6 მარტს ხსენებული წრის მიერ, სამნეო ნაწილში მოხდა დეზერტირის გასამართლება; გასამართლებაში ოფიციალურ მონაწილეობას ღებულობდნენ ხსენებული ასეულის წითელი-არმიელები, რამაც გამოიწვია ხანგრძლივი კამათი ურთი-ერთშორის, რის შემდეგ სასამართლომ დეზერტირს გადაუწყვიტა 6 თვით გამასწორებელ სახლში ყოფნა...

3 მარტს სამნეო ნაწილში დრამატიული წრის მიერ გამართულ იქნა სალამო, რომელსაც გარდა წ.-არმიელებისა დაესწრენ უფ პოლიტშემადგენლობაც. პირველათ წარმოდგენილი იყო რევოლიუციონური შინაარსის პიესა, რომელშიდაც მონაწილეობას იღებდენ წითელ-არმიელნიც...

რამდენადაც მომქმედნი პირნი საუცხოვოთ კარგად ასრულებდენ თავიანთ როლებს და პიესას კარგ ელფერს აძლევდენ, იმდენათ ამხ. არველაძე, თავისი, უშნო ხმა-მაღლა ყვირილით, ამახინჯებდა პიესის მსვლელობას; კარგი იქნებოდა მის ადგილას სხვა ვინმე რომ ყოფილიყო.

წარმოდგენის დამთავრების შემდეგ წითელ არმიელების მიერ იქმნა წაკითხული სხვა და სხვა შინაარსის ლექსები, რის შემდეგ წაკითხული იქნა ამხ. გრემის მიერ სხვა და სხვა სცენები.

საერთოდ სალამო დამაკმაყოფილებლად ჩატარდა და ჩვენ, დრამწრის ხელმძღვანელ-დან ხშირ-ხშირათ მოველით ასეთი წარმოდგენების მართვას და ზემო ნახსენები ნაკლის სასწრაფოდ გამოსწორებას.

სამხკორი: ს. ყუბანეიშვილი.

ჩვენი კედლის გაზეთები.

„წითელი მერანი“ № 1 (ქ. მ. დ. პოლიტ სკოლის ყოველ-კვირეული კედლის გაზეთის) როგორც გარეგნულად ისე შინაარსით კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს.

საშუალო ფორმისაა, ლამაზ სურათიან სათაურით (წითელი მხედარი გაქანებულ ცხენზე) გაზეთში უმთავრესად მონაწილეობენ თვით სკოლის კურსანტები.

მეთაური ეხება 23 და 25 თებერვალის მნიშვნელობას, რომელიც შესაფერისად აშუქებს ამ ორ დღესასწაულს (წ. ა. 6 წ. თავი და საქ. გასაბჭოება) ენა კარგია. შემდეგ მიდის ლექსები: ამხ. საათაშვილის, შიოშვილის, ელეაზარის და ბოლოს პარტიული ცხოვრება ლეჟავასი და სკოლის ცხოვრება გვასალიასი.

გაზეთს ეტყობა მცოდნე ხელი და უსურვებთ, რომ უფრო გამოაკეთოს შემდეგი №№, რაც შეიძლება პატარ-პატარა და მრავალნაირი წერილების მოთავსებით. ხელნაწერსაც ესაჭიროება უკეთესობა.

საჭიროა დასურათებული იყოს, იუმორი და კარიკატურებიც რომ იყოს ნაწილის ცხოვრებიდან უკეთესი იქნებოდა.

ს—ნი

საავიაციო ნაწილში.

12 მარტს საავიაციო ნაწილში ჩატარებულ იქნა შვიდი წლის თავის რომანოვების ტახტიდან გადმოგდების დღესასწაული.

დღესასწაულმა მხიარულად ჩაიარა. სალამო იხსნება 6 საათზე.

მოხსენებას აკეთებენ ამხ. ამხ, ვედიორკო, პლახოვი, ზაუტაშვილი კრასოვსკი და ვართანიანი. კრებაზე მონაწილეობდენ მთელი წით. არმიელები, და მოსამსახურე ქალებიც. კრება დაიხურა სრულ 9 საათზე, რის შემდეგაც გაიმართა სპეკტაკლი.

წარმოდგენილ იქნა წითელ არმიელთა დაწერილი პიესები. შემდეგ მოყვა სხვა და სხვა ხასიათის საუბრები, რომელიც დამთავრდა სრულ 12 საათზე.

ბოლოს გაიმართა ცეკვა-თამაში, უნდა ითქვას, რომ წითელ არმიელებმა ამ ერთი წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიძინეს.

დღეს თქვენ დაინახავთ რომ ძველი წ.-კითხვის უცოდინარი მოხსენებასაც კი აკეთებს.

მან უკვე იცის ის თუ რა უნდა გააკეთოს იმ სოფელში, რომელ კუთხეშიაც ის მიდის, მან ნათლად შეისწავლა ამ ერთი წლის განმავლობაში ის, თუ რა მიზანი აქვს კომპარტიას, მან უკვე იცის რისთვის მსახურობს. ძნელია ეხლა მისი მოტყუილება. იმას შეუძლია პასუხი მისცეს იმ ხალხს, რომელიც მას შეეკითხება რაიმე საგანზე; ის უკვე მონაწილეობას იღებს სახელმწიფო აღმშენებლობაში; მან უკვე იცის, რომ დაბრუნდება თუ არა სახლში, უნდა მოკიდოს ხელი სასოფლო მეურნეობის აღდგენას.

ზ. წ.

ძვირფასი კომუნა.

იბრძვის პარიზი... კომუნათ გაჰკივის ჯარი...—
ძველსა მსოფლიოს გადუსვეს სიკვდილის ჯვარი.

— —

რევოლიუცია!-—კომუნა მოიმღერს ძლევით,—
გამარჯვებულთა ყიჟინა იწევს სულ ზევით!..

— —

არისტოკრატია საფარს ვერსადა ჰპოვებს
და ბურჟუაზიის ურდო პარიზსა სტოვებს!..

— —

მშრომელთა მტერი შიშისგან შორს იმალება,
და საფრანგეთის ცა სისხლის ფრად იალება!..

— —

ბარიკადებზე წითელი დროშა ფრიალებს
და სისხლის მსმელი ტიერი ჯავრით ღრიალებს!..

— —

შავი ვერსალი, მძვინვარე, გესლით სისინებს,
და უტევს ცეცხლით.—კომუნა სისხლში ქვითინებს.

— —

მოკვდა კომუნა, მაგრამ, ო, მისი მახვილი
ჩვენ გადმოგვეცა უკვდავი ბრძოლის ძახილით!..

— —

გავიდა დრო, და... აღსდგა უფრო ძლიერი,
და კაპიტალიზმს ეცვალა, შიშით, იერი!..

— —

დროშა კომუნის, დახრილი, მაღლა ასწია,
და, დღეს ზეიმობს საბჭოთა ფედერაცია!..

ს. ერ—ლი.

ჯარისკაცული ცხოვრება

ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სამხ. სკოლა.

12 მარტს შესდგა 1 ლი ასეულის შემადგენლობის მორიგი კრება. თავმჯდომარეობდა ამხ. ჩახუნაშვილი მდივნობდა ამხ. გოგია. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) 12 მარტის მნიშვნელობა და 2) მიმდინარე კითხვები.

1-ლი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. გრიგოლია. სანამ პირდაპირ შეეხებოდა ამხ. მომხსენებელი, საკითხს, მან მოკლედ განმარტა თუ რა არის ომი, რამდენნაირია ის, რამ გამოიწვია ევროპაში იმპერიალისტური ომი, ომმა, როგორც ასეთმა ვის მოუტანა ზიანი-სარგებელი, საზოგადოების, რომელი კლასი იყო, რომ ჩავარდა უკიდურეს მდგომარეობაში, რომლის მიზეზითა და შემწეოთ მოხდა თებერვლის რევოლიუცია და სამუდამოთ აღმოიფხვრა თვითმპყრობელობა.

როგორც პიროვნება ის ეხება კოალიციონურ მთავრობის ხანას და მატყუარა სოციალისტების დახასიათებას, საიდანაც გადადის ოქტომბრის რევოლიუციაზედ და მის დახასიათებაზედ. ამხანაგმა აღნიშნა, რომ დღევანდელ დღეს, როგორც სხვა სამხედრო ნაწილები, ისე ჩვენი სკოლაც მიიღებდა მონაწილეობას, ასეთ საზეიმო დღის შესახვედრათ ილლუმებისა და სხვა რამის სახით, მაგრამ ამავ დროს ეხება დაუვიწყარ ბელადის ამხ. ლენინის დაკარგვას და მის მიერ შექმნილ მიღწევებსაც. დასასრულ ამხანაგი მოუწოდებს ამხანაგებს მეტი შეგნებისა, მეტი ენერგიულობისა და შეკავშირებისაკენ, ვინემ ვიყავით მისი უკანასკნელ არსებობის დღემდისო. ამხ. მომხსენებელი ათავებს მოხსენებას შესაფერი ლოზუნგებით, რის შემდეგაც გამოაქვთ შესაფერი რეზოლიუცია და კრება იხურება.

სამხკ. ა. წილოსანი

ახალი ამბები

— **რევტრიბუნალში.** 20 მარტს ქარ. დივ. რევტრიბუნალი გაარჩევს მეორე ლეგიონის წით. არმ. გიორგი გოგელაძის საქმეს, რომელსაც ბრალდება დეზერტირობა.

— **ეკლესიის მაგიერ.** ზემო ალვანის (თელ. მაზრა) გლეხკომმა დაადგინა ადგილობრივი ეკლესია გამოიყენოს კულტურული საქმიანობისათვის.

— **დასამუშავებელი მიწები.** ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა გლეხკომებს გადასცეს დასამუშავებლათ 40 დესეტინა მიწა.

— **18 მარტი.** 18 მარტი, პარიზის კომუნის დღე გამოცხადებულია უქმე დღეთ.

— **ავათმყოფთა აღრიცხვა.** ჯანმრთელობის კომისარიატმა აუცილებლათ სცნო მოახდინოს რესპუბლი-

კის ფარგლებში სულით ავათმყოფთა აღრიცხვა.

— **ქარხნის ამუშავება.** დაიწყო მუშაობა ყოფ. სარაჯიშვილის ქარხანამ, რომელიც ერთი სეზონის განმავლობაში დაამზადებს 2 მილიონ გრადუსის ქაჭის არაყს.

— **ხილეულობის გაგზავნა.** წარმოკავშირმა რუსეთში გაგზავნა 8 ვაგონი გორის ვაშლი.

შემთხვევები

— **უცაბედი მკვლელობა.** 12 მარტს, ანდრეევის ქ. № 118, სპორჩინოვმა უცაბედი გასროლით რევოლვერიდან მოჰკლა თავის ამხანაგი სტეპანოვი.

— **შოფერების თავგასულება.** 13 მარტს წყნეთის ქ. წითელ არმიელების დროგს დაეტაკა ავტომობილი. დაშავებულია წით. არმ. ტალახაძე და მეხიშვილი

— **ქურდების დაჭერა.** დაპატიმრეს ალ. ქაზიშვილი და პ. ოქროპირი, რომელთაც გაქურდეს ჯუმაჯურიძის ბინა.

— **ქურდობა.** 13 მარტს ვერ. დაღმართზე გაქურდეს ნ. ზაგოროდინას ბინა, წაიღეს შინაური ნივთები.

— **სიფრთხილეა საჭირო.** 13 მარტს წით. არმ. მინკოვსკიმ ვინტოვკით მოჰკლა წით. არმ. ნორმალენკო. გამოირკვა, რომ ვინტოვკა გავარდნია უცაბედად.

ხელოვნება.

დახმარება ქუჩიშვილს — განათლების კომისარიატმა ავათმყოფ პოეტ გ. ქუჩიშვილს ერთდროული დახმარების სახით გადასცა 100 მან.

სამხატვრო გამოფენა — მაისის პირველ რიცხვებში გაიხსნება ეროვნულ გალერეაში ქართულ მხატვრობის და ქანდაკების გამოფენა.

ახალი საზოგადოება — დაარსდა ქართველ მუსლიმანთა დამხმარე კულტურული საზოგადოება.

„დროშა“ — გამოვიდა ჟურნალ „დროშა“-ს მორიგი, მეოთხე ნომერი ამხ. კახიანის რედაქტორობით.

დღეს თეატრებში.

ოპერა — აიდა.

დრამა — მ. სკოტ.

სახ. სახლი — რუსული წარმოდგენა.

კონსერვატორია — მილშტეინის და გოროვიცის კონცერტი.

სასოფლო მეურნეობა.

კომბოსტო.

კომბოსტო სხვა და სხვა ჯიშისაა, წითელ თავიანი, თეთრ თავიანი, და ფერადი, სადრიო და გვიანი. სადრიო კომბოსტოს სთესვენ თბილებში თებერვლის ანუ მარტის დასაწყისში. აპრილში კი ნერგი უნდა გადავრგათ კვლებში. საგვიანო კომბოსტო უნდა დაითესოს დაახლოვებით მაისის თუთხმეტიდან, ამაზე ადრე დათესვა კი არ ვარგა, ვინაიდან ადრე დათესილი კომბოსტოს თავები უფუჭდება, და შუა გულიდან უვარგისი ფოთლები ამოდის. კომბოსტო სხვა ბოსტნეულებისავით ნაზი არ არის და 6—7 გრადუსი სიცივე არაფერს აკლებს. კომბოსტოსათვის საუკეთესო მიწათ ითვლება შავი მსუქანი მიწა. თიხიანი სჯობია ქვიშნარს. ნიადაგი უნდა გავანოყიეროთ ცხენის ნაკელით. თესლი უნდა დაითესოს კარგათ გადამწვარ სასუქით კვლებში. ამის შემდეგ ნიადაგი უნდა მოვრწყათ დღეში ორჯერ დილით და საღამოთი. როდესაც მცენარე გაიზრდება სამი ოთხი ვერშოკი ის უნდა გადავრგათ იმისთანა ნიადაგში, რომელიც გაპატივებულია საქონლის ახალი ნაკელით, რადგანაც ახალ სასუქზე კომბოსტო უფრო კარგათ ხარობს. კომბოსტოს ადვილათ დარგვისათვის და მორწყვისათვის აკეთებენ კვლებს, ისე რომ ერთი კვალი მეორეს უნდა ცილდებოდეს 12 ვერშოკით. ამ წესით მომზადებულ კვლების ნაპირზე რგავენ კომბოსტოს ისე, რომ ერთი ნერგი უნდა იყოს მოცილებული მეორისაგან 10—12 ვერშოკით, ნერგი უნდა გადავრგათ ყოველთვის დილით ან საღამოთი ვინაიდან მზის შუქები აჭკნობს სარგავს და ბევრი ხმება. ნერგის ფესვები გადარგვის დროს უნდა ამოვავლოთ წყალში სქლად გახსნილის სასუქში, ვინაიდან ფესვები მაშინვე იღებენ საზრდოს. ამასთანავე გადარგვის დროს ფესვები უნდა შევაკვეცოთ ერთი მესამედი. როდესაც კომბოსტო გაიკეთებს ოთხს ფოთოლს, მას უნდა გამოვაცალოთ ყველა ფოთლები, რომელიც მიწასთან ახლო არის და შემდეგ შემოვაყაროთ მიწა და მოვრწყათ. კომბოსტოს მტერი არის ერთნაირი ჭია, რომელიც უჭამს ფოთლების ღეროს და შემდეგ ძირსაც. ეს მატლი უნდა მოვაგროვოთ ხელით და დავწვათ.

ხახვი.

ხახვი ორ წლოვანი მცენარეა. ითესება თებერვალში და მარტში. როგორც სხვა საბოსტნე მცენარესათვის ნიადაგი ხახვისათვის უმჯობესია მოიხნას შემოდგომაზე. ნიადაგი საჭიროა გავანოყიეროთ საქონლის გადამწვარი ნაკელით, ვინაიდან ასეთს შემთხვევაში ხახვი იკეთებს უფრო კარგს და მსხვილს თავებს. ხახვი არ უნდა დავთესოთ სქლათ, ვინაიდან ის იკეთებს პატარა თავებს და სალდება. თხლათ დათესილი ხახვი კი იკეთებს მსხვილს თავებს. როცა ხახვი გაიზრდება სამი ოთხი ვერშოკით ის უნდა გადავრგათ კარგათ დამუშავებულს კვლებში. მცენარე მცენარეს უნდა მოვაცილოთ 4—6 ვერშოკი, კვალი კვალს კი რვა ვერშოკი. გადარგვის დროს მცენარეს ფესვები უნდა ამოვავლოთ სქლათ გახსნილს საქონლის ნაკელიან წყალში. ხახვი საჭიროა მშრალს ნიადაგზე მოირწყას კვირაში სამჯერ, სანამ დაუმსხვილდებოდეს თავები, შემდეგ მორწყვა კი არ ვარგა ვინაიდან ასეთი ხახვი დიდს ხანს არ ინახება. ორი ან სამი კვირის წინ მოსავალის ამოღებამდე ხახვს უნდა გაუთელოთ ღეროები და ფოჩვები გოდრის ზეთ გორებით. სათესლეთ არჩევენ კარგს და მსხვილს თავებს. ხახვის თესლი ინახება ორ წლამდე.

ჯომარდობა ჯარში

მძლეოსნობა.

ერთ-ერთ მთავარ დარგს მძლეოსნობისა შეადგენს რბენა. რბენა საერთოდ ერთგვარი შესავალია მძლეოსნურ ვარჯიშობისა. ეს იმიტომ რომ რბენით მეტად ადვილია რიტმიულ მოძრაობის შეჩვევა და მეორე კი რბენით გამოუმუშავდება მარბენალში სწორი სუნთქვა. ორივე ეს შემდეგში დასჭირდება მოვარჯიშეს ყოველნაირ ვარჯიშობაში. რბენის გამოყენებითი ხასიათი მოლაშქრისათვის ნათელია. ბრძოლაში ხშირია ხომ გადარბენები—მძლეოსნობაში მას უთანაბრება რბენა მოკლე მანძილზე. [illegible] საჭიროა გამძლეობა, დიდ მანძილების გადასალახავად მოკლე ხანში; ამისათვის მძლეოსნობაში არის რბენა დიდ მანძილზე 3—42 კილომეტრამდე. მძლეოსნობაში არის ერთგვარი სახე რბენის გეზრბენის სახელწოდებით, როდესაც დარბიან პირდაპირი ხაზით; ტყეზე, მოხნულ მინდვრებზე, გადალახავენ რუს, ხევს, გორაკებს, ლობეებს და სხვა. როგორც ვხედავთ რბენა აუცილებლივ საჭიროა ყოველივე მოლაშქრისათვის, როგორც მებრძოლისათვის, მაგრამ რასაკვირველია გამოადგება ისე როგორც მოლაშქრესაც.

რბენის შესწავლა იწყება ზომითი რბენით რათა უპირველეს ყოვლისა გამომუშავდეს სუნთქვა. მარბენალმა უნდა ისუნთქოს აუცილებლივ ცხვირით, გარდა ამისა უნდა დაიცვას ასეთი რიტმი: ოთხ ნაბიჯზე შეისუნთქოს და ორზე გამოისუნთქოს. პირველ დღეს შეიძლება 1090 მეტრიდან დაიწყოთ და შემდეგ ნელ-ნელა მოუმატოთ მანძილს, იმის მიხედვით თუ სუნთქვა თავისუფალი იქნება. თან და თან უნდა გამომუშავდეს ბიჯი. ზომითი რბენის დროს ტანი ოდნავ დახრილი წინ ხელები თავისუფლად მოძრაობს, ფეხი კი უნდა გატანო წინ მუხლში მოდრეკილი და შემდეგ დაჰკრა მიწას ასე რომ ამ ბიძგმა წასწიოს ტანი წინ, რა წამს ფეხს დაჰკრამ მიწას მეორე ამ დროს სწორ ხაზს შეადგენს ზეტანთან ერთად. ასე რომ ფეხები არ უნდა გრჩებოდეს ტანს უკან. ამას უწოდებდენ სწორ ბიჯს. როდესაც მარბენალს გამომუშავებული აქვს ბიჯი და სუნთქვა მას შეუძლიან უკვე განსაკუთრებულ მანძილებისათვის ივარჯიშოს.

დიდ მანძილებს უწოდებენ მძლერბენს. მძლერბენში შედიან 3000 მეტრი, 5.000, 10.000, ერთი საათის რბენა და მარათონული რბენა 42 კილომეტრზე.

მძლერბენის სავარჯიშოდ საჭირო არ არის აუცილებლივ მთელ მანძილზე რბენა; საკმარისია მხოლოდ ორჯელ კვირაში 2—4 ათასი მეტრი გაირბინო და კვირაში ერთხელ კი მთელი მანძილი. საშუალო მანძილებს ეკუთვნის 400.800 და 1500 მეტ. მისთვის მომზადებისათვის უნდა ირბინო დიდ მანძილზე და მას გარდა შეისწავლო საწყისი და წყვეტა. საწყისი არის ის მდგომარეობა საიდანაც იწყება რბენა. ამისათვის უნდა დაიჩოქო ერთ მუხლზე და იქ საიდაც იქმნება ამავ ფეხის ცერი იქ დადგა მეორე მუხლი; რბენის დაწყებისათვის. გაიცემა განკარგულება „მზათ ხართ“-„ყურადღება“—„წინ“. პირველ განკარგულებისთანავე იწყება ორ ფეხზე წამოდგომას, ხელები კი დაბჯენილია მიწაზე—ხაზზე და უკანასკნელ განკარგულებისთანავე (წინ) იწყებ რბენას. ეს საჭიროა იმისათვის რომ რბენის დროს შეინარჩუნო დახრილი მდგომარეობა. საერთო წესად მიღებულია, რომ ტანის დახრა საჭიროა მით უმეტეს, რამდენათ მოკლე მანძილზე და სწრაფად მირბიხარ. მუხლი უნდა აიტანო რაც შეიძლება მაღლა, რაც მეტი სიმაღლიდან დაჰკრამ ფეხს ხომ მეტი ღონით წასწევ ტანს წინ. ასეთ საწყისს ალება და 20—30 მეტრის გარბენა. მასთანავე არის წყვეტა. სწრაფ რბენას ეწოდება სწრაფრბენი, მისი მანძილებია 100, 200, 400 მეტრი. მათთვის ვარჯიშობა საჭიროა ისევე როგორც ზევით იყო ნახსენები საშუალო მანძილისათვის. შეჯიბრებისათვის კარგია ამანათ რბენის მოწყობა. აქ გამოირკვევა თუ რამდენათ კარგი მორბენალები ჰყავს ამა თუ იმ ნაწილს. ამანათში იღებს მონაწილეობას 4 დან 10-მდე. მანძილიც ყოველნაირია 100 დან 5000-მდე. ყველაზე ხშირად იმართება 4×100 4×400, 3×1000, 3×5000 ან კიდევ 10×100-ზე. ამანათრბენი სწარმოებს ასე: დანიშნულ ადგილზე წრეზე სდგანან მარბენალნი სხვა და სხვა გუნდებიდან, განკარგულებისთანავე ისინი მირბიან და გადასცემენ ამანათს (ჯოხი 60 სანტ.) თავის ამხანაგს. გადაცემის საუკეთესო წესი ასეთი: ვიდრე ამანათს მოიტანენ მორბენალი სდგება ხაზს უკან და იწყებს რბენას მარჯვენა ხელი კი უკან გაშვერილი აქვს, პირველ მორბენალს კი ამანათი მარცხენა ხელში აქვს და როცა დაეწევა მეორეს უნდა ჩაუდოს ხელში ამანათი და ის კი უმატებს სისწრაფეს.

გიტო.

მეცნიერება და ტექნიკა

როგორ მოქმედებს ალკოგოლი დედის მუცელში ჩასახულ ბავშზე.

თუ რამდენად ცუდათ მოქმედებს ალკოგოლი—სპირტეულობა ადამიანის ორგანიზმზე, ყველასათვის ცხადია. ამის შესახებ ჩვენც გვქონდა ლაპარაკი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. იქ ჩვენ ვრცლად შევეხეთ ამ გარემოებას, მაგრამ არა გვითქვამს არა ერთის შესახებ: სახელდობრ, თუ როგორ მოქმედებს ალკოგოლი დედის მუცელში ჩასახულ ბავშვზე. თავის თავად ცხადი იყო, რომ ალკოგოლი კარგად არ იმოქმედებდა განვითარებაში წასულ ნაყოფზე, მაგრამ სათანადო მეცნიერული დასაბუთება ამის შესახებ აქამდე არავის მოუცია.

ამ უკანასკნელ ხანში გამოქვეყნდა გერმანელ მეცნიერის ოლფის შრომა, რომელსაც განხილული აქვს ალკოგოლის მოქმედება მუცელში ჩასახულ ბავშვზე.

ხსენებული მეცნიერი ასახელებს სამ გზას რომელთა საშვალებით ალკოგოლი დიდ ზიანს აყენებს ნაყოფს.

1) ალკოგოლიკ-მამას ან ალკოგოლიკ დედას არა აქვთ ჯანმრთელი სასქესო უჯრედები (სპერმატოზოიდი მამაკაცს და კვერცხისებური უჯრედები დედა კაცს) და ამიტომ სანაყოფოდ გამზადებული კვერცხი-უჯრედიც დაავადმყოფებული რჩება. აქედან მისგან განვითარებული ნაყოფიც დასნეულებული რჩება.

2) ფეხმძიმეობაში მყოფი დედა თუ ეძალება სპირტეულიან სასმელებს, სწამლავს, როგორც საკუთარ ისე მუცელში—საშვილეში მყოფ ბავშის თოთო ორგანიზმს, რადგან ბავში ამ დროს უშუალოდ დაკავშირებულია დედის სისხლთან.

3) ალკოგოლი აგრეთვე გადადის ბავშებზე დედის ძუძუებიდან და მაშასადამე ასეთი გზითაც იწამლება ბავშის სათუთი ორგანიზმი.

რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ თუ როგორ შეიძლება დედის მუცელში ბავშის მოწამლვა, საჭიროა კარგად ვიცოდეთ როგორ ხდება სისხლის მიმოქცევა დედის მუცელში მყოფ ბავშის და დიდი ადამიანის ორგანიზმში. პირველის სისხლის მიმოქცევა დიამეტრალურად განსხვავდება მეორისაგან.

დედის მუცელში ბავში სრულიად არ სუნთქავს, მისი ფილტვები გაჩერებულია, ბავშის ორგანიზმის განვითარება დედის სისხლის შედეგია. ბავშის ფილტვები მხოლოდ მაშინ ამუშავდება და დაიწყებს სუნთქვას, როდესაც დაიბადება. მანამდე კი მისი ორგანიზმი საზრდოობს დედის სისხლით მიტანილ ჟანგბადით. აქედან ცხადია დედის სისხლში არსებული ყველა სიკეთე თუ უბედურება ერთბაშად გადადის ბავშზე. როდესაც ორსული დედა კვდება, ჩერდება მისი სისხლის მიმოქცევა, ბავშიც იმ წამსვე იხრჩობა მუცელში. დედისა და ბავშის (მუცელში) სისხლის გამტარებელ მილების შორის კავშირი იმდენად დიდია, რომ თუ დედამ უზმოზე მიიღო რაიმე სპირტეული, 12 წუთის შემდეგ ის უკვე გადადის ბავშის ორგანიზმში. ხოლო 40 წ. შემდეგ ალკოგოლი ერთნაირი რაოდენობით ნაწილდება დედისა და ბავშის სხეულში. ჩვენ ვიცით, რომ ალკოგოლი ანადგურებს კაცის ქსოვილებს ორგანიზმში. აქედან ყველასათვის ცხადი იქნება თუ რა დიდ ზიანს მიაყენებს ის ბავშის სათუთ ორგანიზმს. მეცნიერ ოლფის ცდები ერთხელ და სამუდამოთ ამტკიცებენ, რომ ყოვლად დაუშვებელია ორსულმა დედამ ალკოგოლიანი სასმელები იხმაროს.

შ. ს.

ჩერვონცის კურსი 18 მარტს

1 ჩერ. 11,000,000,000.

ჩერვონცის კაპიკები ამიერ-კავკასიის ბონებში.

1კ.	11,000,000	55კ.	605,000,000
2კ.	22,000,000	60კ.	660,000,000
3კ.	33,000,000	65კ.	715,000,000
4კ.	44,000,000	70კ.	770,000,000
5კ.	55,000,000	75კ.	825,000,000
6კ.	66,000,000	80კ.	880,000,000
7კ.	77,000,000	85კ.	935,000,000
8კ.	88,000,000	90კ.	990,000,000
9კ.	99,000,000	1 მ.	1,100,000,000
10კ.	110,000,000	2 მ.	2,200,000,000
15კ.	165,000,000	3 მ.	3,300,000,000
20კ.	220,000,000	4 მ.	4,400,000,000
25კ.	275,000,000	5 მ.	5,500,000,000
30კ.	330,000,000	6 მ.	6,600,000,000
35კ.	385,000,000	7 მ.	7,700,000,000
40კ.	440,000,000	8 მ.	8,800,000,000
45კ.	495,000,000	9 მ.	9,900,000,000
50კ.	550,000,000	10 მ.	11,000,000,000

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1.300 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.